რევაზ შეროზია

წარმოსახვითობა („აბსტრაქცია“) ენობრივ სისტემაში

ანოტაცია: *გრამატიკულ ლიტერატურაში აბსტრაქტულად ხასიათდება მხოლოდ არსებითი სახელები. აბსტრაქტულია სახელი, რომელიც არსებობს ჩვენს წარმოსახვაში და ნივთიერი (ხილული) სახე არ გააჩნია. სტატიაში საუბარია იმაზე, რომ, გარდა ამისა, წარმოსახვითი შეიძლება იყოს ქმედებაც, საპირისპიროდ კონკრეტული (ხილული) მოქმედებისა. ამდენად, კონკრეტულობა და წარმოსახვითობა (აბსტრაქცია) საზიარო შინაარსობრივი მახასიათებელია სახელისა და ზმნისა.*

Annotation: *It is considered that only nouns are characterized abstractly. Abstract nouns are only in our imagination and they are not visible. In addition, action can also be imaginary, as opposed to concrete (visible) action. Thus, concreteness and imagination (abstraction) are common content characteristics of a noun and a verb.*

1. მეტყველების ნებისმიერი ფორმა (ზეპირი, წერითი თუ შინაგანი მონოლოგი) ერთი ენობრივი სისტემის რეალიზაციაა, რაკიღა სამყარო ამ სისტემით შევიცნობთ (ჰუმბოლდტი), იგი ერთნაირად განსაზღვრავს (აკონტროლებს) მეტყველების ყველა ფორმას, - ადამიანი, თავისი ენობრივი ფსიქოლოგიით, უკრიტიკოდ ემორჩილება სისტემის მოთხოვნებს. ამის დადასტურებაა, როცა ენის კანონების უცოდინარი ადამიანი ზეპირი მეტყველებისას შეცდომებს რომ არ უშვებს და ამავე დროს, სმენით ცნობს უცხოელის მეტყველებაში დაშვებულ შეუსაბამოებს.

2. ენობრივი სისტემის მეშვეობით სამყაროს ორ ნაწილად ვყოფთ, ხილულ და უხილავ, წარმოსახვით საგან-მოვლენებად. გრამატიკაში ეს ფაქტი ცნობილია კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებად (შანიძე 1973).

ენათმეცნიერება აბსტრაქციას მხოლოდ სახელებში განიხილავს, რაც ნაკლულ კვალიფიკაციად გამოიყურება, - სამყარო ჩვენს აღქმაში არამარტო სახელებისაგან (საგნებისაგან) შედგება, არამედ მათი ქმედებებისაგანაც. შესაბამისად, ცხადია, ამავე სისტემამ წარმოსახვითი ქმედებაც უნდა ასახოს. რეალურად ეს ასეც არის (სხვა საკითხია, ამა

თუ იმ სისტემას ამისთვის რა საშუალებები მოეპოვება), - ზმნური ფორმის შინაარსი ან კონკრეტულ (მიმდინარე), ან წარმოსახვითი (ზოგადი, მახასიათებელი) მოქმედებაა: აშენებს და ფიქრობს ...

3. სპეციალისტებისთვის ცნობილია ა. შანიძის მიერ წარმოდგენილი აქტის ზმნური კატეგორია. იგი ხილული და უხილავი მოქმედებების ასახვას გულისხმობს და ერთმანეთს უპირისპირებს პირველ-მეორე ჯგუფის ფორმებსა და თურმეობითებს. აქტის კატეგორია გახდა საყრდენი გ. როგავას მიერ მეოთხე ჯგუფის, ნო-პრეფიქსიანი ფორმების გამოყოფისა მეგრულ მეტყველებაში (როგავა 1953).

ამ ფორმათა ჩამოყალიბება გვიანდელი ჩანს. ამასთან, საინტერესო ისაა, რომ ქართველურ სისტემაში თურმეობითთა ორი ჯგუფი წარმოიქმნა (დოუჭკირუ დაუჭრია და ნოჭკირუე თურმე ჭრიდა). ამ მხრივ ლაზურის ჩვენება მეტ ყურადღებას იმსახურებს, - აქ ნო-პრეფიქსიანი ფორმები არა გვაქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეოთხე ჯგუფის ფორმები მეგრულში მას მერე უნდა წარმოქმნილიყო, რაც გურულ-აჭარულმა მეგრულ-ლაზური განაცალკევა. ასევე უნდა აიხსნას მეგრულში პოტენციალისისა და ვნებითის დიფერენცირება, ხოლო ლაზურში ამ პროცესის შეკავება, რასაც პირველად აკადემიკომა არნ. ჩქობავამ მიაქცია ყურადღება.

ნო-პრეფიქსიანი ფორმები განვითარდა იმ მეტყველებაში, რომელშიც ვნებითისა და პოტენციალისის დიფერენცირება მოხდა. სადაც ამას ადგილი არ ჰქონდა, იქ არც მეოთხე ჯგუფის ფორმები განვითარებულა (ზოგ დასავლურ დიალექტში ნაყვარება ტიპის არსებობა მეგრული მეტყველების გავლენით აიხსნება).

4. სამყაროში არსებული ყველა საგანი, მოვლენა, ქმედება მოუბარი პირის („მე“-ს) პოზიციიდან არის დანახულ-შეფასებული. ამიტომ მისთვის ხილული (კონკრეტული) და უხილავი (წარმოსახვითი) ორივე არსებობს, მაგრამ მათ სხვადასხვა ენობრივი სისტემა სხვადასხვა საშუალებებით განასხვავებს.

სიცოცხლე - სახელს ფიზიკური სახე არა აქვს („უხილავია“) და ის მხოლოდ წარმოსახვითად (აბსტრაქტულად) დახასიათდება. ასევე, ცოცხლობს ზმნური ფორმის შინაარსიც წარმოსახვითია (აბსტრაქტულია). სახლი კონკრეტული (ხილული) სახელია.

ასევე, კონკრეტული (ხილული) ქმედებაა სახლდება. მაგრამ სახლობს (ცხოვრობს) წარმოსახვითია (აბსტრაქტულია).

მეგრულ მეტყველებაში გამიჯნული ვნებითი და პოტენციალისი დახასიათდება როგორც კონკრეტული და წარმოსახვითი ქმედებები. საინტერესოა, რომ პოტენციალისის ფორმებს მხოლოდ ნო-პრეფიქსიანები ეწარმოებათ: იჭკირე - შეიძლება დაჭრა; - ნოჭკირუე შესაძლებელი ყოფილა დაჭრა. ასევე, მხოლოდ ნო-პრეფიქსიანი ფორმები ექნება უ¯ორს უყვარს ტიპის ზმნებს: უ¯ორს - ნო¯ოროფუე.

სახელურ და ზმნურ ფორმათა კონკრეტულობა-წარმოსახვითობაზე მსჯელობისას კიდევ ერთი ფაქტი იქცევს ყურადღებას. ცნობილია, წარმოსახვით (აბსტრაქტულ) სახელებს მრავლობითი რიცხვის ფორმები არ ეწარმოებათ, - ვერ დაითვლებიან. ნაკლულია წარმოსახვითი შინაარსის ზმნათა ფორმაწარმოებაც.

5. კონკრეტულობა და წარმოსახვითობა (აბსტრაქცია) ენობრივ სისტემაში მოქმედებს როგორც შინაარსობრივი მახასიათებელი. მოუბარი პირისთვის კონკრეტული შეიძლება იყოს როგორც საგანი, ისე - მოქმედება. შესაბამისად, წარმოსახვითი შეიძლება იყოს საგანიც და მისი ქმედებაც.

დამოწმებული ლიტერატურა:

როგავა 1953 : გ. როგავა, *დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში,* იკე V.1953.

შანიძე 1973 : აკაკი შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები,* 1973.